საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე საქმეზე N 010/10

თბილისის საქალაქო სასამართლო კ. კ.-ის წინააღმდეგ

1. **შესავალი**

ეთიკის კომისიის IV განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

კერძო დადგენილების ავტორი – თბილისის საქალაქო სასამართლო

კერძო დადგენილება გამოტანილია: კ. კ.-ის მიმართ (სიითი ნომერი)

კერძო დადგენილების მოთხოვნა: ადვოკატის არასათანადო ქცევის გამო შესაბამისი რეაგირება

დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

მარინა კვაჭაძე – კოლეგიის წევრი

ლავრენტი ქავთარაძე – კოლეგიის წევრი

2. **აღწერილობითი ნაწილი**

2.1 კერძო დადგენილების მიხედვით:

2.1.1 2009 წლის 7 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში გაიმართა სისხლის სამართლის საქმის # განხილვა. სასამართლოს სხდომაზე გამოცხადნენ პროკურორი შ. ზ. განსასჯელი გ. შ. განსასჯელის ადვოკატი მ. ნ. მოწმე – გ. ც.

2.1.2 სასამართლო სხდომაზე დაგვიანებით გამოცხადდა განსასჯელის მეორე ადვოკატი კ. კ.-ე. ადვოკატმა მოითხოვა პროცესში მონაწილეობის მიღება, ხოლო დაგვიანების მიზეზი ახსნა იმ

გარემოებით, რომ იგი მოდიოდა დასავლეთ საქართველოდან, იმყოფებოდა ,,კარგ ამბავში" და ამიტომ შეაგვიანდა.

2.1.3სასამართლომ ნება დართო ადვოკატს მიეღო პროცესში მონაწილეობა.

2.1.4ადვოკატი კ. კ. პროცესის მიმდინარეობის პერიოდში არასათანადო ქცევით, პროკურორისა და მოსამართლის მიმართ გამოთქმული დაუმსახურებელი მოწოდებებით ცდილობდა პროცესის ჩაშლას.

2.1.5სხდომის თავმჯდომარემ არაერთხელ გააფრთხილა ადვოკატი. ადვოკატი არ დაემორჩილა სხდომის თავმჯდომარის მითითებებს.

2.1.6სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით ადვოკატი კ. კ. გაძევებული იქნა სასამართლო დარბაზიდან სასამართლოსადმი უპატივცემულობისა და მისი მითითებების დაუმორჩილებლობის გამო.

2.1.7მოსამართლის განკარგულების მიუხედავად, ადვოკატი კ. კ. განაგრძობდა წესრიგის დარღვევას დარბაზში, რის გამოც გამოძახებული იქნა სასამართლოს მანდატური.

2.1.8კერძო დადგენილებით მოთხოვნილია შესაბამისი რეაგირება ადვოკატის არასათანადო ქცევის გამო.

2.1.92010 წლის 29 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელი, ა. ი.-ი, რომელმაც მხარი დაუჭირა კერძო დადგენილებას.

2.1.10 თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავად არ ბრძანდებოდა სასამართლო პროცესზე, რომელზეც მოხდა განსახილველი შემთხვევა და განაცხადა, რომ კონკრეტულ დარღვევაზე ფაქტობრივი გარემოების დადასტურება არ შეუძლია. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა განხილვის კოლეგიას საქმეში არსებული მასალებზე დაყრდნობით მოახსენა თავის პოზიცია.

2.1.11 თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატმა არ გაასაჩივრა 2009 წლის 7 მაისის სასამართლო სხდომის ოქმი იმის მიუხედავად, რომ არაზუსტად და არასრულყოფილად მიაჩნდა.

2.1.12 განხილვის კოლეგიის სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასამართლო სხდომის ვიდეო ჩანაწერის დაარქივება არ ხდება, ამიტომ შეუძლებელია მისი წარმოდგენა.

2.1.13 თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა განხილვის სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა განხილვის კოლეგიაზე განსასჯელის მეორე ადვოკატის წარმოდგენის შესახებ, რათა განხილვის კოლეგიას სასამართლო პროცესის შესახებ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია მიეღო. აღნიშნული შუამდგომლობა განხილვის კოლეგიამ არ დააკმაყოფილა.

2.2. ადვოკატ კ. კ.-ის განმარტების მიხედვით:

2.2.1 2009 წლის 7 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში სასამართლო სხდომაზე მისი დაგვიანება საპატიოდ მიიჩნია მოსამართლემ და სხდომაზე დაუშვა.

2.2.2 ადვოკატმა გააპროტესტა საკითხი იმის თაობაზე შეეკითხნენ თუ არა განსასჯელს იყო თუ არა თანახმა ადვოკატის - კ. კ.-ის მონაწილეობის გარეშე ჩატარებულიყო საქმის განხილვა. ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ ამის გამო უსაყვედურა.

2.2.3 ადვოკატი მიიჩნევს, რომ მოსამართლე პოლიციელთა დაკითხვისას იჩენდა მიკერძოებას ბრალდების მხარისადმი, ასევე პროკურორი მისახვედრ კითხვებს უსვამდა ბრალდების მოწმეებს, რის გამოც ხდებოდა მხარესთან შეკამათება.

2.2.4 ადვოკატმა მოითხოვა პრეტენზიის შეტანა მოსამართლის ქმედებების გამო სასამართლო სხდომის ოქმში სსსკ-ის 437-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად. მოსამართლემ უარი უთხრა მისი უფლების განხორციელებაზე.

2.2.5 ადვოკატმა დამატებით გამოხატა პრეტენზია და მოითხოვა მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება, რის გამოც მოსამართლემ დაატოვებინა სასამართლო დარბაზი.

2.2.6 2010 წლის 29 ივნისს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა კ. კ.-ემ დააყენა შუამდგომლობა მის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის განხილვის ხანდაზმულობის თაობაზე. ადვოკატმა განაცხადა, დისციპლინური დევნა აღიძრა 2010 წლის 25 მარტს და ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის" შესახებ დებულების ხანდაზმულობის ვადაა დევნის აღძვრიდან 3 თვე.

2.2.7 ადვოკატმა კ. კ.-ემ განმარტა, რომ ეთანხმება მის მიერ საპროცესო კოლეგიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებას და კიდევ ერთხელ ახსნა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

2.2.8 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ მოსამართლის მიერ მის მიმართ განხორციელდა მოწოდება, კერძოდ: მოსამართლემ მოუწოდა თავის ადგილას დამჯდარიყო მას შემდეგ, რაც მისი პროტესტი არ დაკმაყოფილდა. ადვოკატი არ დაემორჩილა ამ მოთხოვნას.

2.2.9 მოსამართლემ სთხოვა დაატოვებინა სასამართლო დარბაზი მისი მითითების დაუმორჩილებლობის გამო, ადვოკატმა განაგრძო თავის მოთხოვნის დაყენებას სასამართლო სხდომის ოქმში პრეტენზიის შეტანის თაობაზე და არ დატოვა სასამართლო დარბაზი, რის გამოც გამოძახებული იქნა სასამართლოს მანდატური.

2.2.10 ადვოკატმა განაცხადა, რომ მანდატურის მიახლოების შემდეგ თავად დატოვა სასამართლო დარბაზი.

2.2.11 განხილვის კოლეგიის სხდომაზე მხარეების ურთიერთშეკითხვების ეტაპზე ადვოკატი დაინტერესდა წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული სხდომის ვიდეო ჩანაწერი.

2.3 სასამართლოდან გამოთხოვილი 2009 წლის 7 მაისის სხდომის ოქმის მიხედვით:

2.3.1 2009 წლის 7 მაისის სხდომის ოქმის მიხედვით დასტურდება, რომ კ. კ.-ემ 2009 წლის 7 მაისს სასამართლო სხდომის დარბაზში დაარღვია წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მოწოდებებს.

2.3.2 მოსამართლემ ადგილზე გასცა განკარგულება, რომელის საფუძველზე ადვოკატი კ. კ. გაძევებული იქნა სასამართლო სხდომის დარბაზიდან წესრიგის უხეში დარღვევისა და მოსამართლის მითითებებისადმი დაუმორჩილებლობის გამო.

2.4 დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

2.4.1 2010 წლის 25 მარტს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

2.4.2 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ კ. კ.-ს მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი.

2.4.3 საპროცესო კოლეგიის აზრით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლი თავისი შინაარსით სპეციალური სამართლებრივი ნორმაა და იმპერატიულად ადგენს ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1 საქმის ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან, მათ შორის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2009 წლის 7 მაისის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი კ. კ. ითხოვდა მოსამართლის ქმედებათა გამო პრეტენზიის შეტანას სასამართლო სხდომის ოქმში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 437-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ კ. კ.-ს 2010 წლის 12 თებერვლის ახსნა-განმარტება. (მე-2 გვ, 1-ლი აბზაცი)
2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის განხილვის კოლეგიის 2010 წლის 29 ივნისის სხდომის ოქმი #03 (მე-2 გვ, მე-4 აბზაცი)

2009 წლის 7 მაისს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი კ. კ. მოსამართლეს აძლევდა შენიშვნებს და არ ემორჩილებოდა მის მითითებებს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ მსჯავრდებულ გ. შ.-ის სისხლის სამართლის # საქმეზე, 2009 წლის 7 მაისის სხდომის ოქმი. (მე-13 გვ, მე-8 აბზაცი)
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბ. კ.-ს 2009 წლის 7 მაისის კერძო დადგენილება ადვოკატ კ. კ.-ს მიმართ. (1-ლი გვ, მე-2 აბზაცი)
3. ადვოკატ კ. კ.-ს 2010 წლის 12 თებერვლის ახსნა-განმარტება. (მე-2 გვ, 1-ლი აბზაცი)

2009 წლის 7 მაისს ადვოკატი კ. კ. მანდატურის დახმარებით გაძევებული იქნა სხდომის დარბაზიდან.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ მსჯავრდებულ გ. შ. სისხლის სამართლის # საქმეზე, 2009 წლის 7 მაისის სხდომის ოქმი. (მე-13 გვ, მე-9 აბზაცი)

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბ. კ. 2009 წლის 7 მაისის კერძო დადგენილება ადვოკატ კ. კ.-ს მიმართ. (მე-2 გვ, მე-4 აბზაცი)

3. ადვოკატ კობა კობახიძის 2010 წლის 12 თებერვლის ახსნა-განმარტება. (მე-2 გვ; მე-3 აბზაცი)

ადვოკატმა კ. კ.-ემ სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდგომ არ გაასაჩივრა 2009 წლის 7 მაისის სასამართლო სხდომის ოქმი.

კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის განხილვის კოლეგიის 2010 წლის 29 ივნისის სხდომის ოქმი #03 (მე-2 გვ, მე-3 აბზაცი)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატ კ. კ.-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა შეესაბამება ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-3 მუხლით დადგენილ 3 თვიან ვადას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით აღიძრა დისციპლინური დევნა კ. კ.-ს მიმართ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით შეჩერდა დისციპლინური საქმის განხილვა ადვოკატ კ. კ.-ს მიმართ. შეჩერების მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ადვოკატმა კ. კ.-ემ გაიკეთა აორტის ანევრიზის ოპერაცია და ვერ მოხერხდა მისი ინფორმირება განხილვის კოლეგიის სხდომის შესახებ. საქმის წარმოება შეჩერდა იმ ვადით, სანამ არ იქნა აღმოფხვრილი დამაბრკოლებელი გარემოებები.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით განახლდა დისციპლინური საქმის განხილვა ადვოკატ კ. კ.-ს მიმართ.

ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ,,პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეჩერებულია მოკვლევა ან დისციპლინური დევნა, არ უნდა ჩაითვალოს ამ დებულებით განსაზღვრულ საჩივრის შემოწმებისა ან სანქციის დაკისრების ვადებში".

შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ადვოკატ კ. კ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა ეწურება 2010 წლის 31 ივლისს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ეთიკის კომისიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება კ. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ.

2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება კ. კ.-ს მიმართ დისციპლინური საქმის განხილვის შეჩერების შესახებ.

3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება კ. კ.-ს მიმართ დისციპლინური საქმის განხილვის შეჩერების შესახებ.

4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება კ. კ.-ს მიმართ დისციპლინური საქმის განხილვის განახლების შესახებ.

3.1.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებაა:

ადვოკატ კ. კ.-ს შენიშვნები უშუალოდ მიზნად ისახავდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დაცვას.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან სასამართლოსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ სასამართლოსადმი შენიშვნების მიცემის მეშვეობით იცავდა კლიენტის ინტერესებს, რადგან მისი საპროცესო უფლების განხორციელება უშუალოდ უკავშირდებოდა კლიენტის ინტერესების დაცვას.

სასამართლო კერძო დადგენილებაში აღნიშნავს, რომ ადვოკატი მოსამართლის მიმართ გამოთქმული შენიშვნებით ცდილობდა პროცესის ჩაშლას, არღვევდა სასამართლო დარბაზში წესრიგს და გამოხატავდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას.

კოლეგიას მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება სავალდებულოა ეთიკის კომისიისათვის, თუ არ არსებობს მისი გაქარწყლებისათვის მნიშვნელოვანი გარემოება ან სხვა უტყუარი მტკიცებულება. კომისია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატის ან მისი პროცესზე დამსწრე კოლეგის მიერ არ ყოფილა შენიშვნები წარმოდგენილი სხდომის ოქმის მიმართ.

შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ობიექტურად ადვოკატის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და მოსამართლის მითითებებისადმი დაუმორჩილებლობას შეიძლება გამოეწვია პროცესის მიმდინარეობისადმი სირთულეების შექმნა. თუმცა კოლეგიას ამავე დროს მიაჩნია, რომ ადვოკატის მიერ კონკრეტული საპროცესო ნორმაზე დაყრდენობა და ადვოკატის მიერ გამოთქმული შენიშვნების შინაარსით დგინდება, რომ ადვოკატი სუბიექტურად მოქმედებდა იმ რწმენით, რომ იცავდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებს, თუნდაც ობიექტურად ეს გამოიხატებოდა მოსამართლის მითითებებისადმი დაუმორჩილებლობაში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ მსჯავრდებულ გ. შ.-ს სისხლის სამართლის # საქმეზე, 2009 წლის 7 მაისის სხდომის ოქმი. (მე-12 გვ; მე-5 აბზაცი)
2. ადვოკატ კ. კ.-ს 2010 წლის 12 თებერვლის ახსნა-განმარტება. (მე-2 გვ; 1-ლი აბზაცი)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა და საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარის ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ ადვოკატ კ. კ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ კ. კ.-ს მიერ დაირღვა ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და სხვა პროცესის მონაწილე პირთა უფლებები". ასევე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც ადვოკატს ავალებს ,,დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს".

5.2 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე უნდა იმსჯელოს ერთ მხრივ ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ სასამართლო დარბაზში და მეორე მხრივ სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის თაობაზე.

5.3 ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუმცა იგი ექვემდებარება ამავე მუხლებით დადგენილ უფლების შეზღუდვის საფუძვლებს.

5.4 საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ ,,ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება". საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება ,,თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით". საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.

5.5 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: ,,ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე". აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლში არ არის გათვალისწინებული ადვოკატის ამ იმუნიტეტის შეზღუდვის შემთხვევა.

5.6 ამავე დროს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ” ქვეპუნქტის, თანახმად ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და სხვა პროცესის მონაწილე პირთა უფლებები”.

5.7 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლი არეგულირებს ადვოკატსა და სასამართლოს შორის ურთიერთობებს. მოცემული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება დაიცვას სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები და პატივი სცეს სასამართლოს მოხელეებს. Gგარდა ამისა, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს სასამართლო დარბაზში ისეთი ქცევისაგან, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

5.8 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა არ დაიცვა სასამართლო დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს.

5.9 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მსგავსი ქმედებები მაშინაც კი არ არის გამართლებული, როდესაც იგი ადვოკატისათვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობის გამართლების საფუძველს.

5.10 განხილვის კოლეგიის აზრით, ადვოკატი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის თაობაზე და თუ გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია, გამოიყენოს კანონით დადგენილი საპროცესო საშუალებები (გადაწყვეტილების გასაჩივრების, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების და სხვა კანონიერი მექანიზმი).

5.11 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ კ. კ.-ს მიერ, მოსამართლის ქმედებათა გამო სასამართლო სხდომის ოქმში პრეტენზიის შეტანის დაუკმაყოფილებლობის შემდგომ სასამართლოს გადაწყვეტილების გაპროტესტება სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევის გზით არ წარმოადგენს კლიენტის უფლების დაცვის კანონიერ საშუალებას.

5.12 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის მიერ საპროცესო უფლებების განხორციელებამ გამოიწვია სასამართლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა და სასამართლოსადმი უპატივცემულობა, რაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით დარღვევას წარმოადგენს.

5.13 ამგვარად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ კ. კ.-ს მიერ დაირღვა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ” ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი.

5.14 განხილვის კოლეგია გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში დაეყდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-10 მუხლის ფარგლებში მსჯელობს სასამართლო დარბაზში ადვოკატის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

5.15 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Kyprianou V Cyprus (განაცხადი #7215/75, 1981 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ ,ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში არ არის შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ამართლებს ამ ტიპის შეზღუდვებს. თუმცა დაცული უნდა იქნას სათანადო ბალანსი უფლების შეზღუდვასა და დაცულ ინტერესს შორის."

5.16 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Brandstter v Austria (განაცხადი #11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ ,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის'' მე-6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებელად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნას ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ადვოკატმა დაცვის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს სასამართლოს და სხვა პირთა უფლებებს."

5.17 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Claudel v Austria განაცხადა: ,,პროცესის მხარეებმა პატივი უნდა სცენ კანონით დადგენილ პროცედურულ წესებსა და სხვადასხვა სახის ფორმალობებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მათ შორის სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვას."

5.18 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში X v The United Kingdom (განაცხადი #7215/75, 1981 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ ,,ის პირები, რომლებიც ხელს უშლიან სასამართლო პროცესის მიმდინარეობას შესაძლებელია გაძევებული იქნას სასამართლო დარბაზიდან".

5.19 განხილვის კოლეგია საჭიროდ მიიჩნევს, რომ მიუთითოს ევროპის საბჭოს მინისტრათა კომიტეტის რეკომენდაციაზე #(2000)21, რომელიც ადგენს, რომ ,,ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ სასამართლოს და განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები სასამართლოს წინაშე შიდა კანონმდებლობის, სხვა წესებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად."

5.20 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა იმის თაობაზე, ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში განხორციელებული ქმედებები შედიოდა თუ არა კლიენტის ინტერესებში.

5.21 კოლეგიას მიაჩნია, რომ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ შეზღუდვას, რადგან ეს მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობას და ადგენს, რომ ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით".

5.22 განხილვის კოლეგიის აზრით, კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად და ამ მიზნით სასამართლო დარბაზში არ დაარღვიოს წესრიგი. სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა და სასამართლოს მითითებისადმი დაუმორჩილებლობა არ შეიძლება გამართლებული იქნას კლიენტის ინტერესების დაცვით. თუნდაც ადვოკატი დარწმუნებული იყორს, რომ მისი ქმედება შესაბამისობაშია საპროცესო კანონმდებლობასთან.

5.23 განხილვის კოლეგია ამ დასკვნის გამოტანისას ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებული იქნას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

5.24 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში X v The United Kingdom (განაცხადი #7215/75, 1981 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა, რომ ,,ადვოკატი ვალდებულია დაცვის განხორციელების პროცესში დაიცვას ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც მისი პროფესია აკისრებს. ბრალდებულს არ აქვს უფლება მოსთხოვოს დამცველს უგულვებელყოს პროფესიული ვალდებულების ძირითადი პრინციპები დაცვის განხორციელებისას".

5.25 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში X v Sweatzerland (განაცხადი #9/27/80, 1992 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება) მიიჩნევს, რომ ,,დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს თავისი პროფესიული პრინციპებისა და შეხედულებების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აღჭურვავს ბრალდებულს უფლებით მოსთხოვოს თავის ადვოკატს ისეთი დაცვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და შესაბამისად არც ადვოკატს არ აქვს უფლება ამგვარად იმოქმედოს დაცვის განხორციელებისას პროცესში."

5.26 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ კ. კ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევა და მისი ქმედებები არ შეიძლება გამართლებული იქნას კლიენტის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ ადვოკატის სუბიექტური განცდა, რომ ის პროცესზე მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დასაცავად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება.

4. სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილით, 24-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილით, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-6 და 38-ე მუხლებით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-10 მუხლებით და ამ მუხლებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შექმნილი პრეცედენტული სამართლით, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების მე-18 და მე-20 მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ადვოკატ კ. კ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი შეინახოს დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილ კონვერტში. მისი გახსნა მოხდეს, თუ ადვოკატ კ. კ.-ს წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
4. ადვოკატ კ. კ.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე - ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი - ირაკლი კორძახია

კოლეგიის წევრი - იური ვაზაგაშვილი